ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2199523

ნომერი: AR1338492

თარიღი : 31.08.2015

გაცემის თარიღი : 21.09.2015

გაცნობის თარიღი : 21.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 , (ნაკვეთი N38/43) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გელაშვილი პ/ნ LTU22074556
- რუსთაველის N14

ორგანიზაცია:
- შპს ლიტ ჯეო ინვესტი კოდი: 204531088

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 31 აგვისტოს #AR1338492 განცხადებით მომართა ვალერი გელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ჩუღურეთი, ქუჩა ც. დადიანი, #7, (ნაკვეთი #38/43)/ქ. თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, #7, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.16.02.038.072), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით მე–2 სექტორში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ე-2" ბლოკის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 2015 წლის 19 აგვისტოს #2148981 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 პუნქტის ჩანაწერი: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 09 ივნისიდან 2016 წლის 09 აპრილის ჩათვლით" შეიცვალა ჩანაწერით ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით". ასევე, #01.16.02.038.072 საკადასტრო კოდის ნაცვლად დაფიქსირდა #01.16.02.038.077 საკადასტრო კოდი.

სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს „ლიტ ჯეო ინვესტი". საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #882015498541, მომზადების თარიღი: 07/09/2015 წ., ს/კ: #01.16.02.038.077) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ლიტ ჯეო ინვესტი". მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B15004677; მომზადების თარიღი: 14/01/2015 წ.; ს/კ: #400033655; წინა ს/კ: #204531088) თანახმად, შპს „ლიტ ჯეო ინვესტი"–ს დირექტორს წარმოადგენს ვალერი გელაშვილი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამხმარე ფართობად დაფიქსირებული 242.5 კვ.მ–ის ნაცვლად სარდაფის ფართობის 204.4 კვ.მ–ის, ხოლო, საერთო ფართობად 9301.7 კვ.მ–ის ნაცვლად 9263.6 კვ.მ–ს დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებაში, კერძოდ: დამხმარე ფართობად დაფიქსირებული 242.5 კვ.მ–ის ნაცვლად დაფიქსირდეს სარდაფის ფართობის 204.4 კვ.მ., ხოლო, საერთო ფართობად – 9263.6 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2015 წლის 31 აგვისტოს #AR1338492 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 08 ივნისის #1942407 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge